

საბა ჯიბაძე

16 წლის

ქ.ფოთის ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-5 საჯარო სკოლა, მე-11 ბ კლასი

The history of Georgia is a story of the struggle for freedom. For centuries, our nation has endured a painful path marked by occupations, lost independence, and a continuing fight that still persists today. Freedom and independence may seem synonymous, but historical experience shows us that these are two distinct stages in a nation's development.

The history of Georgia as an independent state begins in 1918, but the struggle for freedom began long before that. The Georgian people found themselves under the rule of the double-headed eagle. Fortunately, Georgians never accepted this fate and began the fight — a fight for freedom. The years 1802, 1804, 1810, 1812, 1832, and 1841 are clear examples of the relentless and self-sacrificing struggle of the Georgian people against the imperial grip of Russia. Ilia, Akaki, Vazha, Niko, and many others were freedom fighters who, as Ilia Chavchavadze himself said, knew well that “movement, and only movement, gives strength and life to a country.” Their efforts led to the long-awaited independence proclaimed on May 26, 1918, at 5:10 AM. And above Georgia, the tricolor flag was raised — a flag that symbolizes Georgia’s journey from bondage to freedom, stained with spilled blood.

However, gaining independence and gaining freedom are not the same. Though the Georgian nation may have acquired a flag, a coat of arms, a national anthem, and statehood, true freedom

requires a different kind of spirit and struggle. This struggle began — but in two and a half years, a country, especially one built on free thought, cannot be fully established. Soon, in February 1921, Georgia fell again. From Baku, Orjonikidze reported: “The red flag flies over Tbilisi.” The Georgian state collapsed, but the Georgian spirit did not break. The years 1922 and 1924 saw uprisings throughout the country, and Georgian voices echoed in the capitals of Europe — but how could one defeat the colossal red giant? In response to these uprisings, Georgians were subjected to repressions: the killings of Valiko Jugheli, Mikheil Javakhishvili, Evgeni Mikeladze, and many others. They thought that by killing, they could break the Georgian spirit, subdue it completely, and diminish it — but they were wrong.

Perhaps they eliminated the older generation, the third group of intellectuals, but a new generation emerged — true Georgians, even if born under Soviet rule. April 14, 1978, is the day when they attempted to prohibit Georgians from speaking and thinking in their mother tongue — a day when the Georgian people refused to accept the anti-Georgian policies of the communists and raised their voices, unwilling to let go of their native language. April 14 was followed by April 9 — a day of pain and joy. Our parents stood on Rustaveli Avenue, along with their parents, for a free, independent, and Georgian state. They protested peacefully — dancing, laughing, praying for Georgia, our homeland. But Russia is Russia. They sent in red tanks and massacred innocent people, dyeing the streets red with the heroic blood of Georgians.

Fortunately, the fire of the struggle ignited in 1989 did not die out; it blazed even stronger and became April 9, 1991 — the day when the red flag no longer flew over Georgia. Once again, the Georgian flag was raised, the coat of arms restored, the national anthem played. On that day, Zviad Gamsakhurdia declared the long-awaited words: “The souls of the martyrs of April 9 are watching us and rejoicing in heavenly light, for their will has been fulfilled, the will of the Georgian people has been fulfilled. Long live independent Georgia! May God protect us.” Once again, a proud voice was heard: “I waited for this day, I lived to see it. I no longer cry, I smile.”

Georgia became independent once again — but being Georgian, we even began a war over power. The Tbilisi War followed, then the war in Abkhazia in 1993, and on September 27, we lost Sukhumi. Of course, we cannot blame everything on the Georgians alone — after all, our northern neighbor has always kept a watchful eye on us. But the fact remains: with Sukhumi, we lost that person too — the one who stood beside us on April 9 and fought for Georgian identity. Since then, Georgia has

never fully reunited. Abkhazia and Samachablo remain lost. Yes, we are called an independent nation — but how independent are we, really? Are we truly free?

The greatest fault of Georgian identity is not that we don't love our country — we do love it, no doubt — but that in this love, we constantly seek help from others: sometimes the West, sometimes the North. We always expect rescue, salvation, and help from outsiders. But can we really stand on our own?

Therefore, the Georgian nation constantly strives for independence and freedom. However, today, it is divided and lacks unity — and this will destroy us to the point where we won't even be able to dream of our flag, coat of arms, or anthem anymore. The path from independence to freedom is a tightrope walk, and still, the greatest achievement along this path is the freedom of thought — something that must be guarded with utmost care.

საბა ჯიბავა

16 წლის

ქ.ფოთის ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-5

საჯარო სკოლა, მე-11 ბ კლასი

საქართველოს ისტორია თავისუფლებისთვის ბრძოლა. საუკუნეების

განმავლობაში ჩვენმა ერმა გაიარა მტკივნეული გზა ოკუპაციების, წართმეული

დამოუკიდებლობისა და ბრძოლისა, რომელიც დღემდე გრძელდება. თავისუფლება და

დამოუკიდებლობა თითქოს სინონიმებია, თუმცა ისტორიული გამოცდილება

გვაჩვენებს, რომ ეს ორი ცნება სხვადასხვა ეტაპია ერის განვითარებაში.

საქართველოს ისტორია, როგორც

დამოუკიდებელი სახელმწიფოსი, 1918 წლიდან იწყება, თუმცა თავისუფლების ბრძოლა-

ოდითგანვე. ქართველი ერი ორთავა არწივის ბატონობის ქვეშ აღმოჩნდა. საბედნიეროდ

,ქართველები ამას არც შეგუებიან და დაიწყეს ბრძოლა, ბრძოლა თავისუფლებისათვის.

1802, 1804, 1810, 1812, 1832, 1841 - ეს თარიღები ნათელი მაგალითია ქართველი ერის

დაუოკებელი და თავგანწირული ბრძოლისა რუსეთის იმპერიალისტური მარწუხების

წინააღმდეგ. ილია, აკაკი, ვაჟა, ნიკო და კიდევ ბევრნი იყვნენ თავისუფლებისათვის

მებრძოლები, რომლებმაც, ილიასი არ იყოს, კარგად იცოდნენ, რომ „მოდრაობა და

მხოლოდ მოძრაობა არის ქვეყნის ძალისა და სიცოცხლის მომცემი” და იმდენი ქნეს, რომ

1918 წლის 26 მაისის 5 საათსა და 10 წუთზე საქართველომ მოიპოვა ნანატრი

დამოუკიდებლობა. და აფრიალდა საქართველოს თავზე სამფეროვანი დროშა. დროშა, რომელიც საქართველოს ისტორიას განასახიერებს მონობიდან თავისუფლებამდე დაღვრილი სისხლით. თუმცა დამოუკიდებლობის მოპოვება და თავისუფლება ერთი და იგივე საქმე როდია. შეიძლება, ქართველმა ერმა კი მოიპოვა დროშა, გერბი, ჰიმნი და სახელმწიფოებრივობა, თუმცა თავისუფლების მოპოვებას სულ სხვა შემართება და ბრძოლა უნდა. დაიწყო კიდეც ეს ბრძოლა, მაგრამ ორწელიწად-ნახევარში სახელმწიფო ნამდვილად ვერ აშენდება, მით უმეტეს, თავისუფალი აზროვნებით. მალევე, 1921 წლის თებერვალში, დაეცა საქართველო. იუწყებოდა ორჯონიკიძე ბაქუდან: “თბილისის თავზე წითელი დროშა ფრიალებს”. დაეცა ქართული სახელმწიფო, მაგრამ ქართველი არ გატყდა, იყო 1922 და 1924 წლები, აჯანყებები მთელ საქართველოში, ქართული ხმა ევროპის დედაქალაქებში, მაგრამ აბა, მიდი და დაამარცხე ბუმბერაზი წითელი გოლიათი. აჯანყებების საპასუხოდ მოუწყვეს ქართველ ერს რეპრესიები. ვალიკო ჯუღელის, მიხეილ ჯავახიშვილის, ევგენი მიქელაძის და კიდეც სხვათა. მკვლელობით ფიქრობდნენ გავტეხთ ქართველ ერსო, ბოლომდე დავიმორჩილებთო, დავაკნინებთო, მაგრამ ვერ ეღირსნენ. შეიძლება ძველი თაობა, მესამე დასელები გაისტუმრეს, მაგრამ გაჩნდა ახალი თაობა, მართალია საბჭოეთში დაბადებულნი, მაგრამ ნამდვილი ქართველები. 14

აპრილი, 1978 წელი, დღე, როდესაც შეეცადნენ ქართველებისთვის აკრძალათ

მშობლიურ ენაზე საუბარი, აზროვნება, დღე, როდესაც ქართველი ერი არ შეეგუა

კომუნისტების ანტიქართულ პოლიტიკას და ხმა ამოიღო, არ შეეგუა იმას, რომ ერს
ართმევდნენ დედაენას. 14 აპრილს მოჰყვა 9 აპრილი, დღე ტკივილნარევი სიხარულისა.
რუსთაველზე იდგნენ ჩვენი მშობლები, მათი მშობლები, დამოუკიდებელი,
თავისუფალი და ქართული სახელმწიფოსათვის. თავიანთ პროტესტს გამოთქვამდნენ
მშვიდობიანად, ცეკვავდნენ, იცინოდნენ, ლოცულობდნენ საქართველოსათვის, ჩვენი
სამშობლოსათვის. მაგრამ რუსეთი ხომ რუსეთია, ჩამოიყვანეს წითელი ტანკები და
დახოცა უდანაშაულო ხალხი, წითლად შეღებეს იქაურობა ქართველთა გმირული
სისხლით. საბედნიეროდ, 89-ში დაწყებული ბრძოლის ცეცხლი არ ჩამქრალა, კიდეც
უფრო აგიზგიზდა და გადაიქცა 1991 წლის 9 აპრილად, დღედ, როდესაც საქართველოს
თავზე წითელი დროშა კი აღარ ფრიალებდა, არამედ ისევ აღზევდა ქართული დროშა,
გერბი და ისევ ისმოდა ქართული ჰიმნი, დღე, როდესაც ზვიად გამსახურდიამ
წარმოთქვა სიტყვები, ნანატრი სიტყვები: “ცხრა აპრილის წამებულთა სულები
დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი,
აღსრულდა ნება ქართველი ერისა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს,
გვფარავდეს ღმერთი”. ისევ გაისმა ამაყად: „ამ დღეს ველოდი მოვესწარი, ვივინი „აღარ
ვტირი მე“. კვლავ დამოუკიდებელი გახდა საქართველო, მაგრამ ჩვენ ხომ ქართველები
ვართ, ომსაც კი დავიწყებთ ძალაუფლებისათვის, დავიწყეთ კიდეც, თბილისის ომი, ამას
მოჰყვა აფხაზეთის ომი 1993 წელს და დავკარგეთ კიდეც 27 სექტემბერს სოხუმი. რა
თქმა უნდა, ყველაფერს ქართველებს ვერ დავაბრალებთ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენს

ჩრდილოელ მეზობელს თვალი სულ ჩვენკენ უჭირავს. მაგრამ ფაქტი ერთია, სოხუმთან ერთად ის ადამიანიც მოვკალით, ორივე 9 აპრილს ჩვენს გვერდით რომ იდგა და იბრძოდა ქართველობისათვის. მას მერე ვერ გაერთიანებულა საქართველო ბოლომდე, ვერ დაუბრუნებია აფხაზეთი და სამაჩაბლო. კი გვქვია დამოუკიდებელი ერი, მაგრამ რამდენად დამოუკიდებლები, ვართ კი თავისუფალნი? ქართველობის ყველაზე დიდი დანაშაული ის კი არ არის, რომ არ გვიყვარს ჩვენი ქვეყანა (ჩვენი საქციელიდან გამომდინარე ასე ჩანს), გვიყვარს, როგორ არ გვიყვარს, არამედ ის, რომ ამ სიყვარულში დახმარებას ხან დასავლეთს ვთხოვთ, ხან კიდევ ჩრდილოეთს. სულ სხვებისგან

ველოდებით დახმარებას, შველას, ხსნას, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის განა?

ამრიგად ქართველი ერი სულ ისწრაფვის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ, თუმცა დღესდღეობით ქართველი ერი გაყოფილია და აკლია ერთიანობა, ეს კი ისე დაგვლუპავს, რომ მერე ვეღარც დროშაზე, გერბსა და ჰიმნზეც ვეღარ ვიფიქრებთ და ვიოცნებებთ. ქართული გზა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე ბეწვის ხიდია და მაინც ამ გზის მთავარი მონაპოვარი აზრის თავისუფლებაა, რომელსაც დიდი გაფრთხილება სჭირდება.